ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება დაკავშირებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედებასთან, რომლის შესაბამისადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120 დღეს ძალაში შედის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დრობითი წესი, რომლის მიხედვითაც გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა განისაზღვრა 82 საშტატო ერთეულით.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #20 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

დანართი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის ----------№------დადგენილებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა

№	**თანამდებობის დასახელება**	საშტატო ერთეული
1	**ხელმძღვანელობა**	**3**
1.1	მუნიციპალიტეტის გამგებელი	1
1.2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
1.3	გამგებლის მოადგილე	1
2	**ადმინისტრაციული სამსახური**	**13**
2.1	სამსახურის უფროსი	1
2.2	გამგებლის თანაშემწე	1
2.3	**საქმისწარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილება**	**6**
2.4	განყოფილების უფროსი	1
2.5.	სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1
2.6	სპეციალისტი მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში	3
2.7	მდივან რეფერენტი	1
2.8	**მთავარი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში**	**1**
2.9	**მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში**	**1**
2.10	სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროეტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში	1
2.11	**მთავარი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში**	**1**
2.12	სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1
3	**საფინანსო სამსახური**	**10**
3.1	სამსახურის უფროსი	1
3.2	**მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებში**	**1**
3.3	სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში	2
3.4	**მთავარი სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებში (მთავარი ბუღალტერი)**	**1**
3.5	სპეციალისტი ბანკთან ურთიერთობის და სახაზინო მომსახურების საკითხებში	1
3.6	სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების საკითხებში	1
3.7	სპეციალისტი სალაროს მეურნეობის და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში	1
3.8	**მთავრი სპეციალისტი მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ -**	**1**

	ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	
3.9	სპეციალისტი შესყიდვებისა და მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1
4	**ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**	**6**
4.1	სამსახურის უფროსი	1
4.2	სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში	2
4.3	**სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილება**	**3**
4.4	განყოფილების უფროსი	1
4.5	სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში	1
4.6	სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში	1
5	**მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური**	**6**
5.1	სამსახურის უფროსი	1
5.2	**ქონების მართვის და პრივატიზების განყოფილება**	3
5.3	განყოფილების უფროსი	1
5.4	სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში	1
5.5	სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში	1
5.6	**მთავარი სპეციალიტი გარემოს დაცვისა და დასუთავების საკითხებში**	1
5.7	სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში	1
6	**სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახური**	**7**
6.1	სამსახურის უფროსი	1
6.2	**სოციალურ საკითხთა განყოფილება**	3
6.3	განყოფილების უფროსი	1
6.4	სპეციალისტი ჯანდაცვის და ვეტერანთა მომსახურების საკითხებში	1
6.5	სპეციალისტი შრომის, სოციალურ, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში	1
6.6	**კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**	3
6.7	განყოფილების უფროსი	1
6.8	სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრულ საქმეთა საკითხებში	1
6.9	სპეციალისტი ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის საკითხებში	1
7	**შიდა აუდიტის სამსახური**	**3**
7.1	სამსახურის უფროსი	1
7.2	სპეციალისტი საფინანსო, საბუღალტრო ანალიზის საკითხებში	1
7.3	სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში	1
8	**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**	**7**
8.1	სამსახურის უფროსი	1
8.2	**მთავარი სპეციალისტი წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის საკითხებში**	**1**
8.3	სპეციალისტი პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის საკითხებში	1
8.4	სპეციალისტი მიწერისა და კორესპონდენციებზე მუშაობის საკითხებში	1
8.5	**მთავარი სპეციალისტი რეზერვისტთა მობილიზაციის საკითხებში**	**1**
8.6	სპეციალისტი რეზერვის სერჟანტების, მიჩმანების და რიგითების აღრიცხვის	1

	საკითხებში	
8.7	სპეციალისტი რეზერვის ოფიცერთა აღრიცხვის საკითხებში	1
9	**სახანძრო სამაშველო სამსახური**	**28**
9.1	სამსახურის უფროსი	1
9.2	სამსახურის უფროსის მოადგილე	1
9.3	მთავარი სპეციალისტი (სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორი)	1
9.4	მთავარი სპეციალისტი (მორიგე ცვლის უფროსი)	3
9.5	სპეციალისტი (მეხანძრე - მაშველი)	12
9.6	სპეციალისტი (მძღოლი)	7
9.7	სპეციალისტი (დისპეჩერი)	3
10	**საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკური სამსახური**	**4**
10.1	სამსახურის უფროსი	1
10.2	**მთავარი სპეციალისტი საინვესტიციო ღონისძიებების დაგეგმვისა და სტატისტიკის წარმოების საკითხებში**	1
10.3	სპეციალისტი საინვესტიციო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში	1
10.4	სპეციალისტი ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1
11	**გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში**	**23**
	სულ	**110**
	გამგეობის საშტატო რაოდენობა	**82**
	სახანძრო-სამაშველო სამსახური	**28**

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ"- დადგენილების თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ"- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ"- საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

დადგენილების მოქმედების 2014 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელების სამართლებრივი საფუძველია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტი შეიძლება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ: ბექა შენგელია